ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3341601

ნომერი: AR1514084

თარიღი : 14.06.2017

გაცემის თარიღი : 21.06.2017

გაცნობის თარიღი : 21.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გენადი ბოიარსკიხ პ/ნ 01097000582
- გურამიშვილის გამზირი 84

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- შედარებით ახლო ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟები დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

- არსებული ტოპოგრაფიული გეგმა, მასზე ყველა ხე-ნარგავის დატანით (როგორც საკადასტრო საზღვრების გარეთ ასევე საკადასტრო საზღვრების შიგნით) და მასზე დამუშავებული გენ-გეგმა საპროექტო ადგილების დატანით. გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება არსებული ხე-ნარგავებისა და ბუჩქების მოჭრა ან/და გადატანა წარმოსადგენი გექნებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენა.

- საკადასტრო გეგმებზე დატანილ იქნას ზუსტი საპროექტო ადგილები.

- ვინაიდან გზა ეწყობა საკადასტრო საზღვრების გარეთ ქალაქის ტერიტორიაზე საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობები და დანართები ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე (ამჟამად წარმოდგენილი თანხმობა ვადაგასულია).

- ვინაიდან ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საგზაო ნიშნების გადატანა საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა სრულყოფილად განიხილოს საკითხი და გაცნობოთ (საჭიროების შემთხვევაში) მასში არსებული ხარვეზების თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.